საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

N 1166-02
06/06/2016

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის **მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტისა და ბიზნესის სკოლის მიერ აკადემიური წერის ცენტრისთვის აკადემიური წერის მასწავლებლის (საბაკალავრო საფეხურისთვის)** 15 თანამდებობაზე კონკურსის გამოცხადების შესახებ

”უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N134/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-18 მუხლის 1-ლი, მე-6 პუნქტის, 2016 წლის 1 ივნისის N35/2199 მინდობილობის, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის საბჭოს 2016 წლის 24 მაისის N6 და ბიზნესის სკოლის საბჭოს 2016 წლის 25 მაისის N87 სხდომის ოქმების საფუძველზე, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანის, გიორგი გვალიას 2016 წლის 31 მაისის N8694-35 წარდგინების გათვალისწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. გამოცხადდეს ღია კონკურსი 2016 წლის 20 ივნისიდან 2016 წლის 3 ივლისის ჩათვლით ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის **მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტისა და ბიზნესის სკოლის მიერ აკადემიური წერის ცენტრისთვის აკადემიური წერის მასწავლებლის (საბაკალავრო საფეხურისთვის)** 15 თანამდებობაზე
2. კონკურსის პირობები და შემდგომი დასაქმების პირობები დამტკიცდეს ამ ბრძანების დანართის შესაბამისად (იხ. დანართი N1).
3. კონკურსის შეფასების კრიტერიუმები დამტკიცდეს მეორე დანართის მიხედვით (იხ. დანართი 2).
4. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანს, ბიზნესის სკოლის დეკანს დაევალოთ საკონკურსო კომისიის შექმნა.
5. უნივერსიტეტის შესაბამის სამსახურებს დაევალოს ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის საიტზე და ელექტრონული მედიის შესაბამის საშუალებებში.
6. კანცელარიას დაევალოს ბრძანების გაცნობა შემდეგი სტრუქტურებისათვის: მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი, ბიზნესის სკოლა, აკადემიური წერის ცენტრი, ადამიანური რესურსების მართვის სამსახური, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური.

დავით აფრასიძე

რექტორის მინდობილი პირი